ქ. თბილისი, ორხევი, ქუჩა ახვლედიანი №3, შპს „სოლარი“–ს საკუთრებაში არსებულ

მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.19.16.001.005)

დაპროექტებული მზესუმზირის შესანახი საწყობის

არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების

წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41

დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	შპს „სოლარი“
პროექტის ავტორი	თ. მახარობლიშვილი
ექსპერტები	ბ. დავითური; დ. გოქსაძე

2018

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად, ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

• საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი; პირობითი აღნიშვნები; შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი).
• საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.
• საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა.
• შენობა-ნაგებობის გეგმა და სახურავის გეგმა.
• შენობა-ნაგებობის ჭრილები.
• შენობა-ნაგებობის ფასადები.
• შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

შენიშვნა:

• საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
• ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
• დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
• საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
• საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
• სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.
• საპროექტო შენობის მთლიანი ან ნაწილობრივი ფუნქციის ან/და დაკავებულობის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული არქიტექტურული დოკუმენტაცია

შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან.

• უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისი, ორხევი, ქუჩა ახვლედიანი № 3. შპს „სოლარი“–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.19.16.001.005). მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 5242.0 კვ . მ -ს. ნაკვეთს ოთხივე მხრიდან ესაზღვრება რეგისტრირებული მოწის ნაკვეთები. ნაკვეთში შესვლა ხდება სამხრეთის მარცხენა კუთხიდან, საიდაც უკავშირდება საავტომობილო გრუნტის გზა (ახვლედიანის ქ.), რომელიც ნაკვეთს აკავშირებს თ. ჩანტლაძის I ჩიხთან. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია გრუნტის ზედაპირიდან 6.00 მ. სიმაღლის შენობის მშენებლობა. საპროექტო შენობა ერთსართულიანია რომლის ფუნქციაც იქნება მზესუმზირის შენახვა დასაწყობება. პროექტით გათვალისწინებულია შენობაზე სამი გასასვლელი, აქედან ორი (თითოეულ შენობაზე) ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობაში არის ორი სან.კვანძი და მათგან ერთი მისაწვდომია. შენობა წარმოადგენს რკინაის კარკასს რომლის შემავსებელიც იქნება ხუთი სმ. სისქის, ორ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე სენდვიჩპანელით. სახურავი იქნება ლითონის კონსტრუქციის და დაიხურება სენდვიჩპანელებით. ფანჯრები დამზადებულია მეტალოპლასმასის პროფილებით, კარებები არის ლითონის.

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12) ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

- საპროექტო ობიექტი დაკავებულობის კლასიფიცირების მესამე თავის მიხედვით მოიცავს მხოლოდ ერთ დაკავებულობის ჯგუფს:
სასაწყობო ჯგუფი სწ–1
(მზესუმზირის შესანახი საწყობი)
აღნიშნული შეესაბამება 311.2 ქვეთავს.

დაკავებულობის ჯგუფის კლასიფიცირება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 3, ქვეთავი 311-ის მიხედვით.

- სივრცეების დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი სასაწყობო ჯგუფისთვის შეადგენს 46.5 (მთლიანი).

გამოანგარიშება:

(ბლოკი 1) სწ–1 დაკავებულობისთვის ±0.00 ნიშნულზე -(საწყობი) იატაკის ფართობი 642.61 კვ.მ/46.5=14

იატაკის ფართობში „წესების“ განმარტების (ქვეთავი 202) მიხედვით დათვლილია გარე კედლების შიგა პერიმეტრის საზღვრებში მოქცეული თითოეული სართულის მთლიანი (შახტების გარეშე) გარე კედლებს შორის მოქცეული ფართობი და გადახურული აივნები.

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 10, ქვეთავები 202 და 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების

გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია II B ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობებში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული II-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვარს. შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 6.00მ.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 503, ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

სასაწყობე (სწ–1) 1015.1 ქვეთავის თანახმად
დასაშვებია, რომ ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი, მიუხედავად ამისა შემობას ქვს სამი გასასვლელი. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი

(52.00 მეტრი) დაანგარიშებულია სწორად გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- სართულზე 1–7 ფასადის მხრიდან განსაზღვრულია 2 გასასვლელი გზა-კარის სახით და დ–ა ფასადის მხრიდან განსაზღვრულია 1 გასასვლელი გზა-კარის სახით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისიწნებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობიდან გამოსვლა საზოგადოებრივ სივრცეში ხდება დაუბრკოლებლად

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1016 და 1021; ცხრილი 1016.2

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

5. გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- „1-7“ ღერძებში მთავარი შესასვლელის მხრიდან გარე გასასვლელ საშუალებად გამოყენებულია 2 გზა-კარი და „დ–ა“ ღერძებში გარე გასასვლელ საშუალებად გამოყენებულია 1 გზა-კარი, რომლის სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც შეესაბამება „წესების“ 1005.3.2 და 1008.1.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1005, 1008, 1009 დან 1013

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი სვლაგეზი რისი საშუალებითაც შშმ პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა და გამოსვლა, შენობის ორი კარი არის მისაწვდომი, შენობის ±0.00 დონე უტოლდება გრუნტის ზედაპირის დონეს ამიტომ პანდუსების მოწყობა საჭირო არ არის. ასევე შენობაში არის მისაწვდომი ტუალეტი რომელიც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11.

მისაწვდომობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
(7–1 ღეძებში) ჩრდილოეთი	3.80	0	1	–	–	15%	–	–	11.9 %
(1–7 ღეძებში) სამხრეთი	2.35	1	1	–	–	10%	–	–	9.8%
(ა–დ ღერძებში) აღმოსავლეთი	4.13	0	1	–	–	15%	–	–	0.0%
(დ–ა ღერძებში) დასავლეთი	3.00	0	1	–	–	10%	–	–	3.75 %

შესაბამისად 602 ცხრილის მიხედვით გარე კედლებს 7–1, ა–დ და დ–ა ღერძებში არ ესაჭიროება ხანძარმედეგობა, მიუხედავად ამისა შემოზღუდულია ორსაათიანი ცეცხლმედეგი სენდვიჩპანელით, რომელიც შედგება სამშრიან მოთუთიებულ ფოლადის ფურცელის დამფარავი ფენისგან და პოლიურიტანის ქაფის თბოიზოლაციისგან და არის 50 მმ.სისქის. (არქიტექტორს წარმოდგენილი აქვს სერთიფიკატი სენდვიჩპანელის ორსაათიანი ცეცხლმედეგობის შესახებ). აღნიშნულ კედლებში მოსაწყობი ღიობების პროცენტულობა დაცულია 705.8 ცხრილის მიხედვით, შენობაში და მის ფასადებზე წვადი ელემენტები დამუავებულია ცეცხლმედეგი ხსნარით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602. თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავის სტრუქტურის და არამირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. საპროექტო შენობის სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505.1 ქვეთავი 1505.3 B კლასს, წარმოადგენს ორსაათიან ცეცხლმედეგობის მქონე სენდვიჩპანელს, რომელიც შედგება სამშრიან მოთუთიებულ ფოლადის ფურცელის დამფარავი ფენისგან და პოლიურიტანის ქაფის თბოიზოლაციისგან და არის 50 მმ.სისქის. (არქიტექტორს წარმოდგენილი აქვს სერთიფიკატი სენდვიჩპანელის ორსაათიანი ცეცხლმედეგობის შესახებ). ხოლო ცხრილი 602–ის მიხედვით საპროექტო შენობებს არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობა.
შენობა–ნაგებობების უსაფრთხოების წესების 705.11 ქვეთავის 1 გამონაკლისის მიხედვით შენობებს პარაპეტი არ მოეთხოვება.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- რადგან საპროექტო შენობები დაკავებულობის ტიპის მიხედვით წარმოადგენს მხოლოდ სწ–1 დაკავებულობას არ ესაჭიროება გამმიჯნავები.

10. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

✓ **ხელის ცეცხლმაქრები:**

• თანახმად 906.1 ქვეთავის 1. პუნქტისა სწ–1 ჯგუფის დაკავებულობა მთლიანად აღჭურვილია ხელისცეცხლმაქრი სისტემებით.

• ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

• *პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.*

• *პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.*

• *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.*

• *პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა*

იკეტებოდეს.

- *პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა მოეწყოს, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,5 მ-ზე მეტად.*
- *ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა დააყენონ, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,1 მ-ზე მეტად.*

✓ **სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:**

- საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.
- ჰიდრანტთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

- *ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტების), საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ სისტემასთან მიერთებულმა სახანძრო აპარატურამ და სახელოებმა სხვა სახანძრო აპარატურას არ ჩაუხერგოს შენობასთან მისასვლელი. სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*
- *სახანძრო მისაერთებლებთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და არასოდეს ჩაიხერგოს ღობეებით, ბუჩქებით, ხეებით, კედლებით ან სხვა მსგავსი ობიექტებით. სახანძრო მისაერთებლებთან მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*

გასათვალისწინებელი საკითხები:

- ***არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.***
- ***უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არი***

ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები გათვალისწინებულია შენობებში, მათი რაოდენობა მეტია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილი რაოდენობისა.

<table>
<tr><th colspan="14">წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა
ცხრილი 1602.1-ის მიხედვით</th></tr>
<tr><th rowspan="3">სართულები</th><th rowspan="3">დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი</th><th colspan="12">ფიქსირებული მოწყობილობები</th></tr>
<tr><th colspan="2">უნიტაზი</th><th colspan="2">ტუალეტის ხელსაბანები</th><th colspan="2">აბაზანა/შხაპი</th><th colspan="2">სასმელი წყლის ფანტანი</th><th colspan="2">სამომსახურეო ნიჟარა</th><th colspan="2">სამზარეულოს ნიჟარა</th></tr>
<tr><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th><th>მოთხოვნილი</th><th>გათვალისწინებული</th></tr>
<tr><td>პირველი სართული</td><td>±0.00
ნიშნული
სწ–1
დ.დ. 14</td><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>2</td><td>–</td><td>–</td><td>1</td><td>2</td><td>1</td><td>1</td><td>–</td><td>–</td></tr>
</table>

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით

11. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება:

• პროექტი ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზრვრებში ღია ავტოსადგომის განთავსებას.

• პროექტით გათვალისწინებულია 5 (ხუთი) ავტოსადგომის მოწყობა.
• ავტოსადგომების ზომები აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
• პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომებიდან, 1 (ერთი) მისაწვდომია შშმ პირთათვის. აღნიშნული ავტოსადგომის გაბარიტული ზომები უტოლდება 2.70 x 6.00მ-ს. მისაწვდომი ავტოსადგომის რაოდენობა შეესაბამება 1106.1-ე ცხრილის მოთხოვნას, ხოლო გაბარიტული ზომები - ICC სტანდარტს.
• ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (ყველა ნაწილში) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
• ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქ. თბილისი, ორხევი, ქუჩა ახვლედიანი №3, შპს „სოლარი“–ს საკუთრებაში არსებულ დაპროექტებული მზესუმზირის შესანახი საწყობის არქიტექტურული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან. ასევე ვადასტურებთ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

ექსპერტები : ბექა დავითური
დავით გოქსაძე
თარიღი: 31.01.2019წ.

სერტიფიკატი

№ 2017-135

გადაეცემა

ბექა დავითურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი. დირექტორი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0015379

BEKA DAVITURI

enrolled in 1991 in TBILISI STATE ACADEMY OF ARTS and in 1997 graduated the full course of THE ACADEMY OF ARTS

specializing in the field of ARCHITECTURE

By the Decision of the State Examination Commission of JUNE, 28 1997 HE was awarded the qualification AN ARCHITECT-RESTORER

Rector

Chairman of the State Examination Commission

Dean

Seal

City TBILISI 1997

Registration No 5943 Registrar

საქართველო

დიპლომი AA № 0015379

1991 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და 1997 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 199 7 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორ-რესტავრატორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 1997 წ.

სარეგისტრაციო No 5943 რეგისტრატორი

რეზიუმე

დავით გოქსაძე

დაბადების თარიღი, ადგილი:	1978 წ. 19 თებერვალი, თბილისი
საკონტაქტო ინფორმაცია:	თბილისი, ვ.ბოჭორიშვილის ქ. 12 ტელეფონი: 551 08 14 75
განათლება:	
1995-2000	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურ ფაკულტეტი (მაგისტრთან გათანაბრებული).
სამუშაო გამოცდილება:	
2011 წლიდან დღემდე	შპს „არქლაინი“ - არქიტექტორი, დირექტორი მოვალეობები: არქიტექტურული პროექტების მომზადება (20 2014 წწ „სოკარ ჯორჯიან პეტროლეუმი“ საპროექტო რებრენდირების სამუშაოები, 2015 წლიდან მთაწმინდის გამგეო აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოების მომზადება და სხ საორგანიზაციო საკითხები;
2006-2008	შპს „საპროექტ არქიტექტურა“ - არქიტექტორი მოვალეობები: საპროექტო წინადადებების და სამუშაოე მომზადება;
2005-2006	სამშენებლო კომპანია შპს „მესიჯოღლუ“ - მთავარი არქიტექტო მოვალეობები: სამშენებლო პროცესის კურირება, საპროექ წინადადებების და სამუშაოების მომზადება;
2000-2001	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი-არქიტექტურის ფაკულტეტის ლაბორანტი მოვალეობები: პრაქტიკული ლექცია-სემინარების მომზადება და ორგანიზება.
ენები:	ქართული-მშობლიური; რუსული-კარგი
კომპიუტერული პროგრამები:	AutoCAD, ArchiCAD, საოფისე პროგრამები Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი)



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 002132

This is to certify that Mr./Mrs. David Goksadze T in 2000 completed a full academic course of the Institute of Architecture of the Georgian Technical University majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July 11, 2000 Mr. David Goksadze T is conferred the present DIPLOMA and the qualification of Architect

Rector

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 6. x. 2000

Registration № 01619 Secretary Peradze

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

სტუ № 002132

მიეცა დავით თამაზის ძე გოქსაძეს
მასზედ, რომ მან 2000 წელს დაამთავრა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არქიტექტურის ინსტიტუტის
სრული კურსი, სპეციალობით არქიტექტორი

საბჭოს საგამოცდო კომისიის
2000 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით
დავით თამაზის ძე გოქსაძეს
მიენიჭა არქიტექტორის
კვალიფიკაცია

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 6. x. 2000წ.

სარეგისტრაციო № 01619 მდივანი